

შპს “რკინიგზის ტელეკომის” მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების წინადადება (“მოწვევის ოფერტი”)

წინამდებარე მოწვევის ოფერტით განსაზღვრულია შპს „რკინიგზის ტელეკომის“ (რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 160, საიდენტიფიკაციო კოდი: 202239737) (შემდგომში „ოფერენტი“ ან „ტელეკომი“) მიერ მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების (შემდგომში “**მომსახურება**”) შეთავაზების პირობები, რომელიც განსაზღვრულია და ვრცელდება მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების მიღების მსურველი ყველა ავტორიზებული პირის მიმართ (შემდგომში „**აქცეპტანტი**“ ან „**მეორე მხარე**“)

ტელეკომი უზრუნველყოფს აქცეპტანტის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებას და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. გერმინტა განმარტება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **აქცეპტის დოკუმენტაცია** – 2.2 მუხლში მითითებული დოკუმენტები, რომლებიც **აქცეპტანტმა** უნდა წარუდგინოს **ტელეკომს** დაშვების პროცედურის ინიცირების მიზნით;

1.1.2. **აქცეპტის ფორმა** – **აქცეპტანტის** მიერ **მოწვევის ოფერტის** შესაბამისად შევსებული #3 დანართი, რომელიც ეგზავნება **ოფერენტს** დასადასტურებლად **მოწვევის ოფერტაში** მითითებული პირობების შესაბამისად;

1.1.3. **მომსახურების ხელშეკრულება** – **ოფერენტს** და **აქცეპტანტს** შორის **მოწვევის ოფერტაზე** აქცეპტის გაკეთების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების მომსახურების შესახებ;

1.2. წინამდებარე **მოწვევის ოფერტაში** გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. დაშვებასთან დაკავშირებული დათქმები, დაშვების წინაპირობები და პროცედურები

2.1. **ტელეკომი** უზრუნველყოფს **მეორე მხარისათვის** მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების მიწოდებას მხოლოდ წინამდებარე მოწვევის ოფერტის #1 დანართში მითითებულ მონაკვეთებზე, ასეთ მონაკვეთებზე არსებული თავისუფალი სიმძლავრეების ფარგლებში. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, **ტელეკომი**

აცხადებს და ადასტურებს რომ მის მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება ქ. თბილისში მდებარე დაშვების წერტილიდან #1 დანართში მითითებული მონაკვეთების მიმართულებებით.

საილუსტრაციო მაგალითი: **აქცეპტანგის** მიერ გორი - ხაშურის მონაკვეთზე მომსახურების მიწოდების მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების მიწოდება **ტელეკომის** მიერ განხორციელდება გორი-თბილისი, თბილისი-ხაშურის მონაკვეთებზე.

2.2. დაშვების პროცედურის ინიცირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ **აქცეპტანგს** არ ჰქონდეს **ტელეკომის** მიმართ შეუსრულებელი რაიმე სახის ფულადი ვალდებულება და, რომ **აქცეპტანგმა ტელეკომს** წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები (“**აქცეპტის დოკუმენტაცია**”):

2.2.1. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად **აქცეპტანგის** მიერ მოპოვებული ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **აქცეპტანგის** შესახებ;

2.2.3. **აქცეპტანგის** უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.4. **აქცეპტანგის** უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, იმ შემთხვევაში თუ **აქცეპტანგს** წარმოადგენს პირი, რომელიც არ არის მითითებული 2.2.2 პუნქტში მითითებულ ამონაწერში;

2.2.5. **აქცეპტანგის** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და შევსებული **აქცეპტის ფორმა**.

2.3. **აქცეპტის დოკუმენტაცია აქცეპტანგმა** უნდა გააგზავნოს წერილობითი ფორმით, ფოსტით **ტელეკომის** რეგისტრირებულ მისამართზე ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: noc@grt.ge.

2.4. **აქცეპტის დოკუმენტაციის** წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით მიღებიდან 8 (რვა) სამუშაო დღეში **ტელეკომი** შეისწავლის მათ შესაბამისობას ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ **აქცეპტის დოკუმენტაცია** არ აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს ან **აქცეპტანგს** გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები **ტელეკომის** მიმართ ან **ტელეკომს** არ გააჩნია **აქცეპტის ფორმით** მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად თავისუფალი რესურსი, მაშინ **ტელეკომი** დაუბრუნებს **აქცეპტანგს აქცეპტის დოკუმენტაციას** და ჩაითვლება, რომ **აქცეპტი** არ გაკეთებულა და, შესაბამისად, **ოფერენტს** არ აქვს ვალდებულება უზრუნველყოს **აქცეპტანგის** დაშვება მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და გაუწიოს მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურება.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ **აქცეპტის დოკუმენტაცია** აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, **აქცეპტანგს** არ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები **ტელეკომის** მიმართ და **ტელეკომს** აქვს შესაბამისი რესურსი მომსახურების გასაწევად, მაშინ **ტელეკომი** უგზავნის მეორე

მხარეს მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების ხელშეკრულების (“**მომსახურების ხელშეკრულება**”) სამ ეგზემპლარს, რომელთაგან თითოეული მოიცავს **გელეკომის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას. ასეთ შემთხვევაში **აქცეპტანტი** ვალდებულია 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს **გელეკომს აქცეპტანტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი **მომსახურების ხელშეკრულების** ორი ეგზემპლარი. დათქმულ ვადაში **აქცეპტანტის** მიერ **მომსახურების ხელშეკრულების** სათანადო ფორმით **გელეკომისთვის** წარუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **აქცეპტანტი** უარს ამბობს მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით **გელეკომის** მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე და, რომ **აქცეპტანტსა** და **გელეკომს** შორის არ წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა.

2.7. **მომსახურების ხელშეკრულება** ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 წლის ვადით.

2.8. **მომსახურების ხელშეკრულების** საფუძველზე **გელეკომის** მიერ **აქცეპტანტისათვის** მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურება დაიწყება აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მოცემულ ვადაში **აქცეპტანტი** დააკმაყოფილებს **მომსახურების ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

2.9. **მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მოცემული მომენტისათვის **აქცეპტანტს** შესრულებული აქვს **გელეკომის** მიმართ ყველა ფულადი ვალდებულება, **აქცეპტანტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **მომსახურებისთვის** დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა. ასეთი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ **გელეკომს** აქვს შესაბამისი რესურსი, **გელეკომი** და **აქცეპტანტი** გააფორმებენ შესაბამის ცვლილებას **მომსახურების ხელშეკრულებაში**. **აქცეპტანტის** მოთხოვნის გაგზავნა, განხილვა და დადასტურება, ხოლო შემდგომ **გელეკომის** მიერ **აქცეპტანტისათვის** ცვლილებების პროექტის გაგზავნა და გაფორმება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ვადების ანალოგიურად.

2.10. **მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედება შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძველებით:

2.10.1. მხარეთა შეთანხმება;

2.10.2. მოქმედების ვადის გასვლა;

2.10.3. ერთ-ერთი მხარის მიერ **მოწვევის ოფერტის** ან **მომსახურების ხელშეკრულების** პირობების სისტემატური დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება, თუ ამგვარი დარღვევა არ აღმოიფხვრა დამრღვევი მხარის მიერ მეორე მხარისაგან წერილობითი შეწყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.10.4. ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;

2.10.5. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

2.10.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საფუძვლები.

მუხლი 3. მომსახურების გექნიკური საკითხები ხარისხი და პასუხისმგებლობა

3.1. მომსახურების მისაღებად აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ძალისხმევითა, სახსრებით და რისკით უზრუნველყოს მიერთება #1 ლანარტში მითითებული შესაბამისი მონაკვეთის დაშვების წერტილზე. გელეკომი აცხადებს და ადასტურებს, რომ ვინაიდან იგი არ წარმოადგენს იმ თანალოკაციის ფართის მესაკუთრეს, სადაც განთავსებულია დაშვების წერტილები, გელეკომი არ არის პასუხისმგებელი ასეთი თანალოკაციის ფართის მესაკუთრის მიერ აქცეპტანტისთვის ამ მოწვევის ოფერტისგან განსხვავებული მოთხოვნების წაყენების შემთხვევაში ამ მოთხოვნების შესრულებაზე.

3.2. მომსახურების ფარგლებში გელეკომი უზრუნველყოფს მომსახურების 99% ხელმისაწვდომობას (ანუ შეუფერხებლად მიწოდებას) ყოველი შესაბამისი კალენდარული თვის განმავლობაში, ანუ გელეკომი ვალდებულია გაუწიოს მეორე მხარეს მომსახურება იმგვარად, რომ მომსახურების შეფერხება არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს შესაბამისი კალენდარული თვის განმავლობაში.

3.3. იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ მიეწოდება მომსახურება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება გამორიცხავს გელეკომის პასუხისმგებლობას ამგვარი დარღვევისთვის), მეორე მხარე უფლებამოსილია დააკისროს გელეკომს პირგასამტეხლო შემდეგი ოლენობით:

მომსახურების ხანგრძლივობა	მიუწოდებლობის	პირგასამტეხლო მომსახურების თვიური საფასურის %
0 დან 8 საათამდე		0%
8 დან 12 საათამდე		10%
12 დან 16 საათამდე		15%
16 დან 20 საათამდე		25%
20 საათზე მეტი		50%

მუხლი 4. ექსტრაორდინარულ, ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

4.1. მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც

შეუძლებელია მოწვევის ოფერტითა და მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

- 4.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და შემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები. კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა შემთხვევაში გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.
- 4.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.
- 4.4. შეუცხოვნიერებისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.
- 4.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

- 5.1. აქცეპტანტისათვის გელეკომის მიერ გაწეული მომსახურების საფასური (“მომსახურების საფასური”) გამოიანგარიშება აქცეპტანტის მიერ ერთ ან/და რამდენიმე მონაკვეთზე მოთხოვნილი სიმძლავრეების ჯამური მოცულობით, #2 დანართში მითითებული ტარიფების შესაბამისად.
- 5.2. გელეკომი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოწვევის ოფერტით განსაზღვრული ტარიფები რა შემთხვევაშიც, გელეკომი ვალდებულია 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს ტარიფების ცვლილების შესახებ და შეცვალოს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარიფები.
- 5.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად წინასწარი გადახდის წესით უნაღლო ანგარიშსწორების გზით. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის - კალენდარული თვის - 14 რიცხვამდე, გელეკომის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი ინვოისის საფუძველზე სრული მოცულობით.
- 5.4. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში გელეკომი უფლებამოსილია ვალდებულების დარღვევის დღიდან დაარიცხოს აქცეპტანტს, ხოლო აქცეპტანტი ვალდებულია გადაუხადოს გელეკომს პირგასამგებლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ორამროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები

თანხმდებიან, რომ გადახდილი თანხები პირველ რიგში მოხმარდება დარიცხული პირგასამგებლოს ოდენობის დაფარვას და მეორე რიგში – ძირითადი დავალიანების დაფარვას.

მუხლი 6. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების წინადადება ძალაში შედის 2017 წლის 17 მაისს და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეთა შორის შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოს კურიერის, დაზღვეული წერილის, ან ფაქსის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუ მეორე მხარე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

7.2. ერთ-ერთი მხარის მიერ მოწვევის ოფერტით ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას ან ასეთ უფლებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

7.3. **ტელეკომსა და მეორე მხარეს** შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი #1

გლეგომის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალური ელემენტების სრული და დაგვირთული სიმძლავრეები

მონაკვეთი	მისამართი	გერმინალური ელემენტი	სრული სიმძლავრე	დაგვირთული სიმძლავრე	თავისუფალი სიმძლავრე
თბილისი, T160 - ქ.კასპი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური კასპი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	1000	300	700
თბილისი, T160 - ქ.გორი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური გორის/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	5000	5000
თბილისი, T160 - ქ.ხაშური	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ხაშური/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	2000	1500	500
თბილისი, T160 - ქ.მესტაფონი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური მესტაფონი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	3500	6500
თბილისი, T160 - ქ.საჩხერე	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური საჩხერე/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	1000	750	250
თბილისი, T160 - ქ.ჭიათურა	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ჭიათურა/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	1000	500	500
თბილისი, T160 - ქ.ქუთაისი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ქუთაისი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	4000	6000
თბილისი, T160 - ქ.სამგრედია	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური სამგრედია/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	2000	8000
თბილისი, T160 - ქ.სენაკი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური სენაკი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	1500	8500
თბილისი, T160 - ქ.ფოთი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ფოთი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	1000	9000
თბილისი, T160 - ქ.ლანხუთი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ლანხუთი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	1000	9000
თბილისი, T160 - ურეკი	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ურეკი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	1000	9000
თბილისი, T160 - ნაგანები	წინამძღვრიშვილის, #160 - სადგური ნაგანები/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიმი	10000	2000	8000

თბილისი, T160 – ქ.ოზურგეთი	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური ოზურგეთი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	1500	8500
თბილისი, T160 – ქ.ქობულეთი	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური ქობულეთი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	1500	8500
თბილისი, T160 – ქ.ბათუმი	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური ბათუმი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	1500	8500
თბილისი, T160 – ქ.მარნეული	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური მარნეული/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	2000	8000
თბილისი, T160 – სადახლო	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური სადახლო/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	5000	5000
თბილისი, T160 – სადახლო	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური გარდაბანი /რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	5000	5000
თბილისი, T160 – სადახლო	წინამძღვრიშვილის, #160 – სადგური რუსთავი/რკინიგზის სადგური	ეზერნეტ სვიჩი	10000	5000	5000

დანართი #2

მომსახურების ტარიფები

სიჩქარე მბ/წმ	უასი ლარში მბ/წმ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე
1-101 (ბიჯი-10 მბ/წმ)	5.00
101-200 (ბიჯი-10 მბ/წმ)	4.68
201-500 (ბიჯი-100 მბ/წმ)	2.67
501-1000 (ბიჯი-100 მბ/წმ)	1.25
1001-10000 (ბიჯი-1000 მბ/წმ)	0.94

დანართი #3

შპს “რკინიგზის ტელეკომის” მიერ მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების მოწვევის ოფერტაზე აქცეპტის ფორმა

1. აქცეპტანტის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: _____

აქცეპტანტის საფირმო სახელწოდება: _____

აქცეპტანტის იურიდიული მისამართი: _____

აქცეპტანტის საიდენტიფიკაციო კოდი: _____

აქცეპტანტის წარმომადგენელი: _____

(პოზიცია, სახელი და გვარი) _____

2. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების გერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების **აქცეპტანტის** მიერ მოთხოვნილი მომსახურება:

მომსახურები ზონა (მონაკვეთები და მისამართები):

მოცულობა:

3. აქცეპტანტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირ(ებ)ის სახელი და გვარი	საკონტაქტო პირის პოზიცია	ელ. ფოსტის მისამართი	ტელეფონის ნომერი

4. შენიშვნა

წინამდებარე აქტების ფორმაზე ხელმოწერით აქცეპტანტი ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს მოწვევის ოფერტის ყველა და ნებისმიერ პირობას

_____ [ხელმოწერა]

_____ 201__ წლის _____

[აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პოზიცია და სახელი და გვარი სრულად]

